# ხელშეკრულება №---1154

თბილისი 19 აპრილი 2012

ერთის მხრივ ს.ს. "ჰიუნდაი ავტო საქართველო" წარმოდგენილი მისი სერვისის დირექტორის ალექსანდრე ხვედელიძის სახით, შემდგომში "მიმწოდებელი" და მეორეს მხრივ სსიპ საინვესტიციო სააგენტოს დირექტორის ქეთევან ბოჭორიშვილის სახით, შემდგომში "შემსყიდველი " ვდებთ ხელშეკრულებას შემდეგზე:

## 1. ხელშეკრულების საგანი

1.1. "მიმწოდებელი" მიაწვდის "შემსყიდველს" გაუწევს მომსახურებას სააჯენტოს კუთვნილ ტოიოტას მარკის (სახ. ნომრით **NVN835**) ავტომანქანაზე :

1.2. ხელშეკრულების საგნის CPV კოდია: 34320000 (მექანიკური სათადარიგო ავტონაწილები) 50110000 (ავტომობილებისა და მათთან დაკავშირებული მოწყობილობების შეკეთება და ტექნიკური მომსახურება)

1.3. ხელშეკრულების გამარტივებული წესით წარმოების საფუძველია სახელმწიფო შესყიდვების შესახებ საქართველოს კანონის 3-ე მუხლის პირველი პუნქტის ს პრიმა ქვეპუნქტი

## 2. მხარეთა უფლება- მოვალეობანი

2.1 "შემსყიდველი" ვალდებულია:

2.1.1 გადაუხადოს "მიმწოდებელს" საქონლის და მომსახურების ღირებულება, ხელშეკრულების მე-3 მუხლის შესაბამისად.

2.2 " მიმწოდებელი" ვალდებულია:

2.2.1 "შემსყიდველის" გადასცეს ინვოისი და ელექტრონული ანგარიშ-ფაქტურა შესრულებულ მომსახურებაზე.

## 3. ფასი და ანგარიშსწორება

3.1. ხელშეკრულების საერთო ღირებულება შეადგენს **395** (სამს სამოცდათხუთმეტი) ლარს. მათ შორის 34320000 (მექანიკური სათადარიგო ავტონაწილები) – 195 (ას ოთხმოცდათხუთმეტი ლარი) და 50110000 (ავტომობილებისა და მათთან დაკავშირებული მოწყობილობების შეკეთება და ტექნიკური მომსახურება) – 200 (ორასი ლარი) ლარი.

3.2 ანგარიშსწორება წარმოებს უნაღდო ფორმით "მიმწოდებლის" მიერ მითითებულ საბანკო ანგარიშზე გადარიცხვით 15 სამუშაო დღის განმავლობაში.

3.3. "შემსყიდველს " უფლება აქვს ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში მოახდინოს " მომწოდებელთან" ანგარიშსწორება ნაწილობრივ.

## 4. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

4.1. წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის დღიდან ხელმოწერისა და მოქმედებს 2012 წლის 10 მაისამდე.

## 5. მხარეთა პასუხისმგებლობა

5.1 წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულების შედეგად მიყენებული ზიანისთვის მხარეები პასუხს აგებენ საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით.

## 6. ფორს-მაჟორი

6.1. მხარეები თავისუფლდებიან პასუხისმგებლობისაგან წინამდებარე ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის გამო, თუ მისი შეუსრულებლობა გამოწვეულია დაუძლეველი ძალით.

6.2. მხარეები ვალდებულები არიან დაუყონებლივ აცნობონ ერთმანეთს აღნიშნული გარემოებების არსებობის შესახებ.

## 7. სადავო საკითხების გადაწყვეტა

7.1. წინამდებარე ხელშეკრულებიდან გამომდინარე სადავო საკითხები წყდება მოლაპარაკების გზით, ხოლო შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში , მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

## 8. დასკვნითი დებულებები

8.1 წინამდებარე ხელშეკრულება სრულიად ადასტურებს მხარეთა კონსენსუსს და არანაირი ზეპირი ცვლილება ან დამატება არ განიხილება, როგორც ამ ხელშეკრულების შემადგენელი ნაწილი.

8.2 მხარეთა შორის წარმოშობილი უთანხმოებანი წყდება მოლაპარაკებების გზით. თანხმობის მიუღწევლობის შემთხვევაში , სადაო საკითხები გადაწყდება სასამართლოში საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

8.3 ხელშეკრულება შედგენილია 2 ეგზეპლარად, ერთი პირი გადაეცემა " მომწოდებელს", ხოლო მეორე "შემსყიდველს". ორივე ეგზემპლარს გააჩნია თანაბარი იურიდიული ძალა.

"მიმწოდებელი"

ს.ს. "ჰიუნდაი ავტო საქართველო"

თბილისი, დ.აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ

ს/კ 204478948

ს.ს. თიბისი ბანკის მარჯანიშვილის /ფ

**№GE15 TB 11 0000 01 10 467697(ლარი)**

სერვისი დირექტორი:

/ალექსანდრე ხვედელიძე/

"შემსყიდველი"

სსიპ საქართველოს ეროვნული საინვესტიციო სააგენტო

ქ. თბილისი, გ. ჭანტურიას ქ. №12

ს/კ №204990082

ეროვნული ბანკი

ა/ა №200122900

დირექტორის მოვალეობი

/ქეთევან ბოჭორიშვილი/